



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

24-25-26 მარტი, 2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

21 მაისი, 2021

თბილისი
2021 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (მეშვიდე დონე)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მეცნიერებების მაგისტრი ეკოლოგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	გარემოსმცოდნეობა 0521
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული #101, 17 ოქტომბერი 2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ციცინო თურქაძე, აწსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიასამიძე, ბსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლომთათიძე, ბსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ლობჯანიძე, საქართველოს უნივერსიტეტი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2011 წლიდან. პროგრამა შედგებოდა ოთხი მიმართულებისაგან და კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ კვალიფიკაცია კონკრეტული მიმართულების შესაბამისად. 2019 წელს, ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამა მოდიფიცირდა და მასში შემავალი ოთხი მიმართულება დაიყო სამ დამოუკიდებელ პროგრამად. ამ მოდიფიცირების შედეგად ჩამოყალიბდა სამაგისტრო პროგრამა „ეკოლოგია“. პროგრამა ითვალისწინებს 2011 წელს აკრედიტებული პროგრამის ერთი დეტალური სფეროს კვალიფიკაციის - მეცნიერებათა მაგისტრის ეკოლოგიაში მინიჭების შესაძლებლობას. პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრირებით.

მიმდინარე ეტაპზე, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 27 სტუდენტს, პროგრამას ემსახურება 29 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, მათგან 25 აფილირებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 90 %, მათ შორის მიღებული კვალიფიკაციით 80%, ხოლო შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი 16%-ია.

აკრედიტებულ რეჟიმში პროგრამის განხორციელების პერიოდში პროგრამის მიმართ გამოიყენებოდა უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რაც უზრუნველყოფდა პროგრამის განვითარებაში და განახლებაში ყველა დაინტერესებული მხარის (განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართვას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა „ჰიბრიდული“ მეთოდით. 2021 წლის 24-25-26 მარტს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ინტერვიუება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა 2021 წლის 24 მარტს (სამუშაო დღის გარკვეულ მონაკვეთში).

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით, დისტანციური მუშაობის რეჟიმის შეფერხებების გარეშე.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის საფუძველზე, რომლის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტებს აჩვენა და წარუდგინა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცე და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია სტანდარტის ყველა კომპონენტი, ასევე აღნიშნულია წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული კარგი პრაქტიკა და პროგრესია. დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისათვის, რაც წინასწარ გაეცნო დაწესებულებას ზოგადი მიგნებების სახით და დადებითად იქნა აღქმული დაწესებულების მიერ.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა
 - ექსპერტთა ჯგუფის მუშაობისა და ჩატარებული შეფასების შედეგად აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით შეფასება შემდეგნაირია:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
--	------------------------------

1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2. პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და კომპლექსურად ასახავს ეკოლოგიის მაგისტრისათვის (გარემოსმცოდნეობის დარგი) საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, დარგისა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია დარგში სწავლების საერთაშორისო ტენდენციები და ხაზგასმულია ისეთი კომპეტენციები, როგორც არის დარგში არსებული უახლესი ტენდენციების და ცოდნის დაუფლება, კვლევითი პროექტის წარმართვისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავება, და კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარების განვითარება.

პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე საფეხურის აღმწერს, წარმოადგენს შინაარსით გათვალისწინებულ იმ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რასაც მიაღწევს პროგრამის კურსდამთავრებული.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3. სასწავლო კურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.6. სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სამაგისტრო პროგრამაზე მიღება მოხდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის საფუძველზე. გამოცდისას ყურადღება ექცევა სტუდენტის მოტივაციას, ეკოლოგიური პრობლემების და საკითხების შესახებ ინფორმირებულობას, ზოგადი ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების საფუძვლების ცოდნას. გარდა ამისა, შემოწმდება ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე.

დაწესებულება პროგრამის წინაპირობებში აწესებს გარკვეულ მოთხოვნებს კვალიფიკაციის კუთხით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა უფრო გაფართოვდეს მიღების წინაპირობებით დადგენილი კვალიფიკაციის არეალი, მაგალითად, ასეთი დამატებებით: ვიწრო სფერო - ჯანდაცვა (091); დეტალური სფერო - გარემოს დაცვის ტექნოლოგია (0711); ვიწრო სფერო - სოფლის მეურნეობა (082) წარმოდგენილი დეტალური სფეროებით: მემცენარეობა და მეცხოველეობა (0811) მებაღეობა (0812); ვიწრო სფერო - მეტყვეობა (082). აღნიშნული გააუმჯობესებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მოქნილობას.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს. პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი.

ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი, რაც ეხება პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსის შინაარსის ურთიერთკავშირს, არის პროგრამაში გარემოს დაბინძურების, ნივთიერებათა ტრანსფორმაციის, ეკოტოქსიკანტებისა და ქსენობიოტიკების გარემოში მოხვედრისა და წრებრუნვის საკითხების სწავლების გაძლიერებას.

ასეთი საკითხების სწავლება მიმდინარეობს ორი სავალდებულო სასწავლო კურსის ფარგლებში: 1) თანამედროვე კვლევა ეკოლოგიასა და ბიომრავალფეროვნებაში; 2) სინეკოლოგია - იგივე თანასაზოგადოებების ეკოლოგია, რომელიც შეისწავლის ბიოცენოზების ორგანიზაციის კანონზომიერებებს, მათ სტრუქტურასა და ფუნქციონირებას, რაც კვებით ჯაჭვებში ნივთიერებათა მიმოქცევასა და ენერჯის ტრანსფორმაციაში ვლინდება.

ამასთან, პროგრამაში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების ბლოკი, რომლის ცხრა სასწავლო კურსიდან სტუდენტს შეუძლია შეარჩიოს სამი სასწავლო კურსი და ასევე, საუკეთესო შემთხვევაში ორი სასწავლო კურსი არჩევითი კურსების სახით.

მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია პროგრამაში უფრო მეტად გაძლიერდეს გარემოს დაბინძურების, ნივთიერებათა ტრანსფორმაციის, ეკოტოქსიკანტებისა და ქსენობიოტიკების გარემოში მოხვედრის, დეკონირებისა და წრებრუნვის საკითხების სწავლება სასწავლო კურსების შინაარსის გაძლიერებით ან სხვა სავალდებულო კურსის დამატებით.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

უნივერსიტეტის პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც მათ საშუალება აქვთ მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის თავისებურებებზე. პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ, სტუდენტები რეგისტრირდებიან სისტემა "არგუსში" საიდანაც საშუალება ეძლევათ აირჩიონ პროგრამის ძირითადი და ელექტიური სასწავლო კურსები, გაეცნონ მიმდინარე და დასკვნით შეფასებებს, სილაბუსებს, სასწავლო მასალას და სხვ.

შრომითი ხელშეკრულებები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობებზე მოვალეობებში ითვალისწინებს კონსულტაციებს პროგრამის სასწავლო და პრაქტიკული/ლაბორატორიული/ექსპერიმენტალური/საველე და ა.შ. კომპონენტებთან დაკავშირებით.

აკრედიტებული პროგრამის განხორციელების პერიოდში პრაქტიკაში დანერგილია სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რასაც პროგრამის პრაქტიკაში აქვს ეფექტური და ეფექტიანი შედეგები.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 4.1. ადამიანური რესურსი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.3. მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. მათ შორის 8 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი, 7 სამეცნიერო პერსონალი, 4 უცხოელი მოწვეული აკადემიური პერსონალი. მათ აქვთ ის კომპეტენცია, რაც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის, რაც დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით, სამეცნიერო კონფერენცებსა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობით. უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს შორის არსებული შეფარდება (25/4), ასევე აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს, მოწვეულ ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (29/27) დაბალანსებულია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უნივერსიტეტში რეგულარულად წარმოებს და აქტიურად გამოიყენება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები. პერსონალის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის შეფასებას კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებით, ხოლო მოწვეული პერსონალისათვის - სწავლების შეფასებას.

შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის.

უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსები რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს წარმოდგენილი ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებაში გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უნივერსიტეტის კუთვნილი კვლევითი ბაზების რესურსები.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მართვაში მონაწილეობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც წარმოდგენილია სამსახურის ხელმძღვანელითა და ხარისხის განვითარების სპეციალისტებით. ხარისხის განვითარების სპეციალისტები ემსახურებიან გარკვეულ საფაკულტეტო მიმართულებებს, რაც უზრუნველყოფს მჭიდრო და მყისიერ კავშირს პროგრამაში ჩართულ პერსონალთან. ასეთი მიდგომების შედეგად პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მონაწილეობს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

პროგრამის შეფასებისათვის დაწესებულება მოქმედებს შიდა ხარისხის კონცეფციის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე აქტორების მონაწილეობა შეფასების, მათ შორის პროგრამების შეფასების პროცესებში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევის დოკუმენტები და ანგარიშები. ერთ-ერთია სამაგისტრო ნაშრომების კვლევა 2018, რომელიც არის კომპლექსური კვლევა ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით. სასურველია ასეთი კვლევების ბოლოს წარმოდგენილი იყოს ზოგადი რეკომენდაციები, ასევე კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მიზნით, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში, გათვალისწინებული იყო როგორც დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების უკუკავშირი, ასევე 2011 წელს აკრედიტაციის პროცესის შედეგად მიღებული რეკომენდაციები.

2019 წლიდან პროგრამის ჯგუფმა დაიწყო ე.წ. რე-აკრედიტაციის მოსამზადებელი სამუშაოები, მოხდა პროგრამის მოდერნიზება და თვითშეფასების ფორმირება. პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული იყვნენ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

წარმოდგენილი პროგრამისათვის გამოყენებულია გარე შეფასება დარგის უცხოელი პროფესორებისა და მკვლევარების (გერმანია, თურქეთი) მონაწილეობით. მათი შეფასებები და რჩევები გაზიარებულია პროგრამის მიერ.

მოცემული პროცესი და აკრედიტაციაზე პროგრამის ხელახალი წარდგენა ადასტურებს დაწესებულების მიმართებას - რეგულარულად გამოიყენოს გარე ხარისხის შეფასება და მისი შედეგები პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში.

რეკომენდაციები

კომპონენტი 2.2

- პროგრამაში უფრო მეტად გაძლიერდეს გარემოს დაბინძურების, ნივთიერებათა ტრანზორმაციის, ეკოტოქსიკანტებისა და ქსენობიოტიკების გარემოში მოხვედრის, დეკონირებისა და წრებრუნვის საკითხების სწავლება სასწავლო კურსების შინაარსის გაძლიერებით ან სხვა სავალდებულო კურსის დამატებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

2.1 კომპონენტი

- სასურველია უფრო გაფართოვდეს მიღების წინაპირობებით დადგენილი კვალიფიკაციის არეალი, მაგალითად ასეთი დამატებებით: ვიწრო სფერო - ჯანდაცვა (091); დეტალური სფერო - გარემოს დაცვის ტექნოლოგია (0711); ვიწრო სფერო - სოფლის მეურნეობა (082) წარმოდგენილი დეტალური სფეროებით: მემცენარეობა და

მეცხოველეობა (0811) მეზღვაობა (0812); ვიწრო სფერო - მეტყვეობა (082). აღნიშნული გააუმჯობესებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

5.3 კომპონენტი

- სასურველია, რომ გამოკითხვების საფუძველზე ჩატარებულ კვლევებში წარმოდგენილი იყოს ზოგადი რეკომენდაციები, ასევე კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით, რომელიც შესაძლებელია შედგეს ცალკე დოკუმენტად. ამით მიაღწევთ პროგრამის მენეჯმენტის უფრო სრულ ინფორმირებას კვლევებით გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ახალგაზრდა მეცნიერების ხელშეწყობისა და წახალისებისათვის საუკეთესო პრაქტიკაა საუნივერსიტეტო პასკალის პრემიის დაწესება და პრემიის ლაურიატი პროგრამის წარმომადგენლები. ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პერსონალსა და სტუდენტებს აქვთ მნიშვნელოვანი წარმატებები ამ ნომინაციაში, რაც ვრცლადაა აღწერილი 4.2 კომპონენტის შეფასებაში.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის განხორციელების 10 წლიან პერიოდში სახეზეა შემდეგი მნიშვნელოვანი მიღწევები:

- პროგრამის მზარდი ინტერნაციონალიზაცია, მნიშვნელოვანი შედეგები და სამომავლო ხედვები/პერსპექტივები პერსონალის, მკვლევარების, სტუდენტებისა და პროგრამის კურსდამთავრებულების საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართულობის მხრივ. პროგრამაში ჩართულია ოთხი უცხოელი პროფესორი. პროგრამაში ჩართულ პერსონალს, კვლევითი ინსტიტუტების ფარგლებში, აქვთ მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორისაა ბონის ზოოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი და ბიომრავალფეროვნების ცენტრი, გოეტინგენის უნივერსიტეტი, კობლენცის უნივერსიტეტი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი (გერმანია); აიდაჰოს უნივერსიტეტი; მისურის ბოტანიკური ბაღი (აშშ); ტუმას უნივერსიტეტი (იტალია); ვარშავის ზოოლოგიის ინსტიტუტი (პოლონეთი); სტამბოლის, ზონგულდაკის, რიზეს და ჰაჯეტეპეს (ანკარა) უნივერსიტეტები (თურქეთი); ერვენის უნივერსიტეტი (სომხეთი); გენტის უნივერსიტეტი (ბელგია).
- პროგრამის ხელმძღვანელის (დარგის წამყვანი მეცნიერის) ირგვლივ გაერთიანებული სამეცნიერო კვლევებში ჩართული გუნდი, რომელსაც აქვს ერთობლივი მუშაობის მდგრადი პრაქტიკა და სინერგია. ამ გუნდის შემადგენლობაშია ამ პროგრამის კურსდამთავრებულებიც, რომლებიც მუშაობენ მკვლევარებად, არიან დოქტორანტები ან უკვე დოქტორები (აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის სახით).
- პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტების გაძლიერებით და ამ რესურსების სინერგიული გამოყენება პროგრამის მიზნებისათვის.
- ახალგაზრდა კადრების ჩართვა პროგრამაში და მათი განვითარების ხელშეწყობა. პროგრამაში ჩართულია ახალგაზრდა კადრები, რომლებიც არიან ამ პროგრამისა და/ან ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და კომპლექსურად ასახავს, ეკოლოგიის მაგისტრისათვის (გარემოსმცოდნეობის დარგი) საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, დარგისა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. ამ მიზნით, პროგრამის განხორციელების მანძილზე ჩატარებულია პერიოდული შეხვედრები დამსაქმებლებთან, მათი გამოკითხვები და ინტერვიუება, ასევე პოტენციური დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფის გამოკითხვა-ინტერვიუება. ამ პროცესში პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროგრამის კურსდამთავრებულების მოსაზრებებს, რომლებიც დასაქმებულები არიან კვალიფიკაციის შესაბამისად და წარმოადგენენ შრომის ბაზრის აქტორებს.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია დარგში სწავლების საერთაშორისო ტენდენციები და ხაზგასმულია ისეთი კომპეტენციები, როგორც არის დარგში არსებული უახლესი ტენდენციების და ცოდნის დაუფლება, კვლევითი პროექტის წარმართვისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავება, და კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარების განვითარება.

მიზნების რეალისტურობა და მიღწევადობა დასტურდება პროგრამის სტრუქტურით, შინაარსით და კურიკულუმის რუკით, სადაც წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა. პროგრამის მიზნები შეესაბამება როგორც ილიაუნის მისიას და სტრატეგიას, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მიზნებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების საშუალებით. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში
- დამსაქმებლის (ფოკუს-ჯგუფის) კვლევა
- საერთაშორისო ანალოგები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე საფეხურის აღმწერს, წარმოადგენს შინაარსით გათვალისწინებულ იმ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რასაც მიაღწევს პროგრამის კურსდამთავრებული.</p> <p>წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული იყო აკადემიური პერსონალის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ასევე მოხდა უცხოელი პროფესორებისა და მკვლევარების (გერმანია, თურქეთი) მიერ.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა ასახულია პროგრამის რუკაში, რომელიც ადგენს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას მის სტრუქტურასთან და ინდივიდუალური სასწავლო კომპონენტების კონტრიბუციას მათ განვითარებაში.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, რომელიც შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი • სასწავლო კურსების სილაბუსები • სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია • სამაგისტრო ნაშრომები • კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში • უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაზე მიღება მოხდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის საფუძველზე. გამოცდისას ყურადღება ექცევა სტუდენტის მოტივაციას, ეკოლოგიური პრობლემების და საკითხების შესახებ ინფორმირებულობას, ზოგადი ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების საფუძვლების ცოდნას. გარდა ამისა, შემოწმდება ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე.

პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ „სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს სასურველია, ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და სტატისტიკის ფართო სფეროს რომელიმე დეტალურ სფეროში“ (ხაზგასმა ჩვენია), თუმცა პროგრამის კურიკულუმში მკაცრადაა ფორმულირებული მიღების წინაპირობა: „მაგისტრატურაში სწავლის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და სტატისტიკის ფართო სფეროს რომელიმე დეტალურ სფეროში“ (ხაზგასმა ჩვენია).

პროგრამის კურიკულუმში მოცემული ფორმულირება არ არღვევს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნას, რადგან „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან“, თუმცა თვითშეფასებაში წარმოდგენილი ფორმულირება უფრო მოქნილია წინაპირობების მხრივ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჩანს, რომ დაწესებულება პროგრამის წინაპირობებში აწესებს გარკვეულ მოთხოვნებს კვალიფიკაციის კუთხით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა უფრო გაფართოვდეს მიღების წინაპირობებით დადგენილი კვალიფიკაციის არეალი, მაგალითად, ვიწრო სფერო - ჯანდაცვა (091); დეტალური სფერო - გარემოს დაცვის ტექნოლოგია (0711); ვიწრო სფერო - სოფლის მეურნეობა (082) წარმოდგენილი დეტალური სფეროებით: მემცენარეობა და მეცხოველეობა (0811) მებაღეობა (0812); ვიწრო სფერო - მეტყვეობა (082). აღნიშნული გააუმჯობესებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მოქნილობას.

პროგრამის პოპულარიზაციის და სტუდენტების რეკრუტირების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი ორგანიზებას უწევს პოტენციურ მაგისტრანტებთან საინფორმაციო შეხვედრებს, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. ამავე მიზნით 2020 წლიდან უნივერსიტეტი ატარებს ონლაინ „ღია კარის დღეს“.

ინფორმაცია პროგრამის მიღების პირობების შესახებ თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე რუბრიკაში „მიღება“ და შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უფრო გაფართოვდეს მიღების წინაპირობებით დადგენილი კვალიფიკაციის არეალი, მაგალითად ასეთი დამატებებით: ვიწრო სფერო - ჯანდაცვა (091); დეტალური სფერო - გარემოს დაცვის ტექნოლოგია (0711); ვიწრო სფერო - სოფლის მეურნეობა (082) წარმოდგენილი დეტალური სფეროებით: მემცენარეობა და მეცხოველეობა (0811) მეხალეობა (0812); ვიწრო სფერო - მეტყვეობა (082). აღნიშნული გააუმჯობესებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება პრაქტიკაში მდგრადადაა დანერგილი. წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია მოქმედი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს. პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:

- სავალდებულო კურსები - 24 კრედიტი
- ცხოველთა ეკოლოგია - მინიმუმ 12 კრედიტი
- მცენარეთა ეკოლოგია - მინიმუმ 12 კრედიტი
- გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების ბლოკი - მინიმუმ 18 კრედიტი
- მეთოდური ბლოკი - მინიმუმ 12 კრედიტი
- კომუნიკაციის ბლოკი - 6 კრედიტი
- არჩევითი კურსები - მაქსიმუმ 12 კრედიტი*

● სამაგისტრო ნაშრომი - 24 კრედიტი

* არჩევითი კურსის სანაცვლოდ სტუდენტს აქვს უფლება გაიაროს დამატებითი კურსები სხვა ბლოკებიდან, გარდა კომუნიკაციური და სავალდებულო ბლოკის კურსი.

ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი, რაც ეხება პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსის შინაარსის ურთიერთკავშირს, არის პროგრამაში გარემოს დაბინძურების, ნივთიერებათა ტრანსფორმაციის, ეკოტოქსიკანტებისა და ქსენობიოტიკების გარემოში მოხვედრისა და წრებრუნვის საკითხების სწავლების გაძლიერებას.

ასეთი საკითხების სწავლება მიმდინარეობს ორი სავალდებულო სასწავლო კურსის ფარგლებში: თანამედროვე კვლევა ეკოლოგიასა და ბიომრავალფეროვნებაში; 2) სინეკოლოგია - იგივე თანასახოგადობების ეკოლოგია, რომელიც შეისწავლის ბიოცენოზების ორგანიზაციის კანონზომიერებებს, მათ სტრუქტურასა და ფუნქციონირებას, რაც კვებით ჯაჭვებში ნივთიერებათა მიმოქცევასა და ენერჯის ტრანსფორმაციაში ვლინდება.

ამასთან, პროგრამაში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების ბლოკი, რომლის ცხრა სასწავლო კურსიდან სტუდენტს შეუძლია შეარჩიოს სამი სასწავლო კურსი და ასევე, საუკეთესო შემთხვევაში ორი სასწავლო კურსი არჩევითი კურსების სახით.

მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა პროგრამაში უფრო მეტად გაძლიერდეს გარემოს დაბინძურების, ნივთიერებათა ტრანსფორმაციის, ეკოტოქსიკანტებისა და ქსენობიოტიკების გარემოში მოხვედრის, დეპონირებისა და წრებრუნვის საკითხების სწავლება სასწავლო კურსების შინაარსის გაძლიერებით ან სხვა სავალდებულო კურსის დამატებით.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური. პროგრამა ეყრდნობა და იყენებს ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. დაინტერესებული მხარეებისა და პოტენციური სტუდენტებისთვის პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მიზნები, შედეგები, სემესტრული გეგმა და ა.შ.) განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- სამაგისტრო ნაშრომები
- სწავლის შედეგების რუკა
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- პროგრამაში უფრო მეტად გაძლიერდეს გარემოს დაბინძურების, ნივთიერებათა ტრანსფორმაციის, ეკოტოქსიკანტებისა და ქსენობიოტიკების გარემოში მოხვედრის, დეპონირებისა და წრებრუნვის საკითხების სწავლება სასწავლო კურსების შინაარსის გაძლიერებით ან სხვა სავალდებულო კურსის დამატებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების უმრავლესობაში თეორიული ცოდნის ტრანსფერთან ერთად აქცენტი კეთდება კვლევითი უნარების და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის უნარის განვითარებაზე. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების მეშვიდე საფეხურს - სამაგისტრო სწავლებას.

პროგრამის სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, ასევე განსაზღვრული სწავლების ფორმატი (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა), შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. პრაქტიკული კურსების შემთხვევაში გათვალისწინებულია სავსე ან/და ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.

კურსების შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს: კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეყრდნობა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს. კურსების უმრავლესობა ითვალისწინებს სამეცნიერო პერიოდიკასთან მუშაობას, დამოუკიდებლად ვალიდური და რელევანტური წყაროების მოძიებას უნივერსიტეტში ხელმისაწვდომ სამეცნიერო ბაზებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სწავლის შედეგების რუკა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი პროგრამა, სამაგისტრო სწავლების საფეხურისა და დასახული სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების გამომუშავებას. აღნიშნული მიიღწევა როგორც სასწავლო კურსებით, ასევე კვლევითი კომპონენტით - სამაგისტრო ნაშრომით.</p> <p>სტუდენტები ჩართულები არიან პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის, ასევე ზოოლოგიისა და ბოტანიკის ინსტიტუტების ბიუჯეტის დაფინანსებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ კვლევითი ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში როგორც სავსე სამუშაოების, ასევე კვლევითი ინსტიტუტის ბაზების გამოყენებით. აღნიშნული პროექტების ფარგლებში სრულდება სასწავლო კომპონენტებში გათვალისწინებული მრავალფეროვანი კვლევითი პროექტები და სამაგისტრო ნაშრომები. ასეთი აქტივობებისათვის გამოყენებულია სავსე კვლევითი ბაზები - საქართველოს მაღალმთიანეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ ლანდშაფტში, კვლევითი გემი, რომლის გამოყენებითაც იწარმოება შავი ზღვის ფაუნის, ფლორისა და გეოლოგიის კვლევები.</p> <p>სამაგისტრო კვლევით ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე სტუდენტი ირჩევს ხელმძღვანელს, რომელიც წარმოადგენს დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს საკვლევი თემატიკის შერჩევაში. ასევე, ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტს კვლევაზე მუშაობის პროცესში საჭირო რესურსით; ეხმარება მას სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობის პროცესში; ასევე, მეთოდოლოგიის არჩევასა და ოპტიმიზაციაში; რეგულარულად უწევს მას კონსულტაციებს; პერიოდულად აძლევს სტუდენტს უკუკავშირის კვლევის პროგრესთან და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით.</p> <p>პროგრამას შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, სადაც წარმოდგენილია პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესი, წინაპირობები, ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, ნაშრომის წარდგენისა და დაცვის პროცედურა, შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე პროგრამაში გათვალისწინებულია რიგი სასწავლო კურსებისა სამაგისტრო სემინარი ეკოლოგიებისთვის, კომუნიკაციური ბლოკიდან ერთ-ერთი კურსი: „აკადემიური წერა“/“ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაციები“.</p>

სამეცნიერო წერა ინგლისურად“), რომლებიც ხელს უწყობს კვლევის და აკადემიური წერის უნარების განვითარებას.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ერთ-ერთი ფორმაა - სავლე პრაქტიკა, რომელიც ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. აქტივობებისათვის გამოყენებულია სავლე კვლევითი ბაზები - საქართველოს მაღალმთიანეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ ლანდშაფტში, კვლევითი გემი, რომლის გამოყენებითაც იწარმოება შავი ზღვის ფაუნის, ფლორისა და გეოლოგიის კვლევები. სავლე პრაქტიკის ორგანიზებას, ტრანსპორტირებას და ბაზებზე განთავსებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი. პრაქტიკის გავლის პერიოდში და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს და აფასებს დარგის კვალიფიციური პირი. ასეთ აქტივობებს ახორციელებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებული კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალიც, მათ შორის ახალგაზრდა ასისტენტ-მკვლევარები და დოქტორანტები, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ სტუდენტებს.

სასწავლო კურსებში გამოყენებულია სწავლების ფორმატი - პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, რომელიც დაგეგმილია ადექვატური აქტივობებით და შესაბამის სასწავლო გარემოში. უნივერსიტეტში შემუშავებულია დეტალური ინსტრუქცია ლაბორატორიული უსაფრთხოების წესებზე შესახებ, რომელსაც ეცნობა სტუდენტი ლაბორატორიული სამუშაოს დაწყებამდე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- სამაგისტრო ნაშრომები
- ლაბორატორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სწავლა-სწავლების მეთოდების ფართო სპექტრის გამოყენებით. სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში, სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას, აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. ამ მეთოდების გამოყენების პრაქტიკა აკრედიტებული პროგრამის არსებობის მანძილზე კიდევ უფრო იხვეწება და ვითარდება.

უნივერსიტეტში დადგენილია და პრაქტიკაში გამოიყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიდგომები. ამ შემთხვევებში გაითვალისწინება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და აკადემიური მომზადება. საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც წინასწარ თანხმდება სტუდენტებთან საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე “არგუსის” ან კორპორატიული მეილის საშუალებით. სტუდენტებს აგრეთვე აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ან მიიღონ უკუკავშირი წერით ნაშრომთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის რეგულაციები, შეფასების დადგენილი პროცედურები და ელექტრონული სისტემები უზრუნველყოფს სტუდენტის შეფასების გამჭვირვალეობას. სასწავლო კომპონენტებში გამოყენებული სტუდენტების შეფასება მრავალკომპონენტურია, თითოეული კომპონენტისათვის განსაზღვრულია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმები და რუბრიკები, რომელიც გამოიყენება შეფასების პროცესისათვის.

შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები

ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ძირითადი მიდგომები, კომპონენტები და კრიტერიუმები. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით, შეფასების კომპონენტებია: ხელმძღვანელის შეფასება, რეცენზენტის შეფასება, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.

სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.

პროგრამის განხორციელების პრაქტიკაში გამოყენებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს სტუდენტების გამოკითხვას და მათგან უკუკავშირის მიღებას კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. გამოკითხვების შედეგად დგინდება, რამდენად ინფორმირებული იყო წინასწარ სტუდენტი შეფასების სისტემის შესახებ, რამდენად ობიექტური იყო შეფასება, დროულად იტვირთებოდა თუ არა შეფასების შედეგები სისტემა “არგუსში”, იღებდა თუ არა ლექტორისგან უკუკავშირის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

უნივერსიტეტში არსებობს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს, რის შემდეგაც შესაბამისი პროცედურებით იქმნება საპრეტენზიო კომისია და განიხილება კონკრეტული შემთხვევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც მათ საშუალება აქვთ მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის თავისებურებებზე. პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ, სტუდენტები რეგისტრირდებიან არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსში“ საიდანაც საშუალება ეძლევათ აირჩიონ პროგრამის ძირითადი და ელექტიური სასწავლო კურსები, გაეცნონ მიმდინარე და დასკვნით შეფასებებს, სილაბუსებს, სასწავლო მასალას და სხვ. ინტერვიუს დროს, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ „არგუსის“ მეშვეობით მათ შეუძლიათ დანიშნონ კონსულტაციები ლექტორებთან/ პროგრამის ხელმძღვანელთან. ასევე, გაასაჩივრონ კონკრეტული შეფასებები და მიიღონ უკუკავშირი. სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს პროგრამაში ნავიგაციის მოქნილობასა და სიმარტივეს.

შრომითი ხელშეკრულებები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობრივ მოვალეობებში ითვალისწინებს კონსულტაციებს პროგრამის სასწავლო და პრაქტიკული/ლაბორატორიული/ექსპერიმენტალური/საველე და ა.შ. კომპონენტებთან დაკავშირებით. 2019 წლის გაზაფხულის სემესტრში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე ჩატარებული პროგრამით კმაყოფილების კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა 92 %-ს ჰქონდა ლექტორთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში. ინტერვიუს დროს, სტუდენტები და ლექტორები აღნიშნავენ, რომ კონსულტაციების დასანიშნად აქტიურად მიმართავენ სისტემა „არგუსს“. ასევე ელექტრონულ ფოსტას. სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ყოველთვის ენიშნებათ კონსულტაცია საჭიროების შემთხვევაში, როგორც ლექტორებთან ისე თეზისის და პროგრამის ხელმძღვანელთან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სერვის ცენტრი, რომელიც ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართვის, სამეცნიერო, შემეცნებითი და სორტული ღონისძიებების, სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას პროექტების განხორციელებაში და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისათვის. დასაქმებისა და კარიერული განვითარების მიზნით ცენტრი ყოველწლიურად მართავს დასაქმების ფორუმებს, ხოლო პროფესიული გამოცდილების ამაღლების მიზნით აორგანიზებს საჭირო სტუდენტურ პროექტებს, მასტერ კლასებსა თუ საჯარო ლექციებს.

საგარეო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნას. ინტერვიუს დროს, სტუდენტებმა აღნიშნეს რომ მონაწილეობა მიუღიათ ისეთ გაცვლით პროგრამებში როგორც არის ERASMUS+ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში

ისარგებლონ სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის მომსახურებით ისეთ გავრცელებულ პრობლემებთან დაკავშირებით როგორცაა ფობიები, შიშები, კომუნიკაციის პრობლემები და სხვ.

აკადემიური წერის ცენტრი აკადემიური წერის კურსების მიღმა სთავაზობს სტუდენტებს დახმარებას წერის უნარების განვითარების კუთხით. ასევე, საჯარო ლექცია-სემინარებსა და მასტერ კლასებზე დასწრებას.

ინტერვიუს დროს, სტუდენტები ადასტურებდნენ, რომ სისტემატიურად იღებენ შეტყობინებებს ზემოთ აღნიშნული შესაძლებების შესახებ „არგუსის“ ან ელ. ფოსტის მეშვეობით და სურვილის შემთხვევაში სარგებლობენ შეთავაზებული ბენეფიტებით.

აკადემიური პერსონალი სტუდენტებს რთავს მიმდინარე საგრანტო პროექტებში. მაგალითად, CaBOL პროექტის ფარგლებში, სტუდენტები ჩართულნი არიან ბონის კვლევით ზოოლოგიურ მუზეუმთან (ZFMK) თანამშრომლობაში და დამატებით კონსულტაციებს იღებენ გერმანელი მეცნიერებისგან. ასევე ერთვებიან ბოტანიკურ ბაღში, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ერთეულებში მიმდინარე აქტივობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებ-გვერდი: <http://writingcentre.iliauni.edu.ge/>
- საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge
- არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება
- პროგრამით კმაყოფილების კვლევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტი, სამაგისტრო საფეხური
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობრივ მოვალეობებში ითვალისწინებს კონსულტაციებს პროგრამის სასწავლო და პრაქტიკული/ ლაბორატორიული/ ექსპერიმენტალური/ საველე და ა.შ. კომპონენტებთან დაკავშირებით.

სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის თანახმად, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამაში ჩართული პროფესორი; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში

დოქტორის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის/მომიჯნავე საკითხების კვლევის გამოცდილება ან პრაქტიკული გამოცდილება (არანაკლებ 5 წლისა); შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია; შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემაჯავალ ჟურნალებში პუბლიკაცია.

2019 წლის, გაზაფხულის სემესტრში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე ჩატარებული პროგრამით კმაყოფილების კვლევის შედეგების მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისას სტუდენტების 90%-ზე მეტს ჰქონდა რეგულარული შეხვედრები ხელმძღვანელთან. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია სამაგისტრო ნაშრომთან/პროექტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების ორგანიზაციით. ამავე მოსაზრებას ამყარებდნენ სტუდენტები ინტერვიუს პროცესშიც. ინტერვიუს დროს კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ მათ ჰქონდათ რეგულარული კონსულტაციები ხელმძღვანელებთან.

აღსანიშნავია, რომ უსდ-ს შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის შერჩევის და სამაგისტრო პროექტის განსაზღვრის წესი, სამაგისტრო პროექტის დაგეგმვის, განხორციელებისა და რეზიუმეების პროცესი. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში, გაწერილია ხელმძღვანელის ძირითადი ვალდებულებები/მოვალეობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები
- პროგრამით კმაყოფილების კვლევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტი, სამაგისტრო საფეხური
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. მათ შორის 8 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი, 7 სამეცნიერო პერსონალი, 4 უცხოელი მოწვეული აკადემიური პერსონალი. მათ აქვთ ის კომპეტენცია, რაც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის, რაც დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით, სამეცნიერო კონფერენცებსა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობით. უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს შორის არსებული შეფარდება (25/4), ასევე აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს, მოწვეულ ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (29/27) დაბალანსებულია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ეკოლოგიის დარგის წამყვან მეცნიერს მაღალი ციტირების ინდექსით. აქვს მაღალი კვალიფიკაცია და სამეცნიერო გამოცდილება, აქტიურად ჩართულია საგრანტო პროექტებში, აქვს სამეცნიერო კოლაბორაცია ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან. მისი სამეცნიერო და აკადემიური გამოცდილება დასტურდება მისი პირადი საქმით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ფლობს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში დასტურდება მათი კვალიფიკაციით და ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომებით, ხოლო მოწვეულ პერსონალთან მიმართებაში - მათი კვალიფიკაციით, გამოქვეყნებული შრომებით. პერსონალი აღჭურვილია უახლესი ცოდნით და აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში, მონაწილეობს სამეცნიერო ღონისძიებებში, ერთობლივ პროექტებსა და პროგრამებში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული უცხოელი პროფესორები: კორტ ანდერსონი, ლარს დროსლერი და მკვლევარები: რაინერ ბუსმანი, ფრანჩესკო კარბონე, საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერებია.

სასწავლო კურსების სემესტრული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია აკადემიური

პერსონალის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები დატვირთვასთან დაკავშირებით. შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში მათი დატვირთვის გადანაწილებისას დაცულია ბალანსი ზემოაღნიშნული ვალდებულებებისა და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის გათვალისწინებით.

პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, ორგანიზებას უწევს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესს. ხელმძღვანელი ასევე ჩართულია პროგრამის განხორციელების შეფასებაში პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებით.

პროგრამის განხორციელებაში, გარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისა, ჩართულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმის ექსპერტი და კოორდინატორი რაც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვას. პროგრამის განხორციელებასა და ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით. უნივერსიტეტში ლაბორატორიული უსაფრთხოების კონტროლს ახორციელებს ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს რეკრუტირებულ პერსონალს შესაბამისი სახის ტრენინგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
- რეკომენდებული სასწავლო სემესტრული გეგმა;
- აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში რეგულარულად წარმოებს და აქტიურად გამოიყენება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები. პერსონალის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის შეფასებას კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებით, ხოლო მოწვეული პერსონალისათვის - სწავლების შეფასებას.

შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის. აღნიშნულის კარგი მაგალითია პროგრამაში ჩართული ახალგაზრდა ასოცირებული პროფესორი, რომელიც 2007 წლიდან მუშაობდა როგორც მკვლევარი, 2010-დან ასისტენტ მკვლევარი, 2015 წლიდან ასისტენტ-პროფესორი, 2019 წლიდან ასოცირებული პროფესორი და ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რომელსაც საერთაშორისო პუბლიკაციებისათვის მიღებული აქვს ილიაუნის პასკალის პრემია 2014 წელს (ორჯერ), 2015 წელს და 2018 წელს (ორი სტატიისათვის), 2019 წელს (ორი სტატიისათვის).

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებული კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალი, მათ შორის ახალგაზრდა ასისტენტ-მკვლევარები და დოქტორანტები, რომლებიც არიან ამავე პროგრამის კურსდამთავრებულები, დოქტორანტები და/ან სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები. სამსახურები თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ და მხარს უჭერენ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში. კერძოდ, ამ მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი, რომელშიც განსაზღვრულია კონკრეტული მოთხოვნები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის. აღსანიშნავია ასევე ის, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი წარმოადგენს კვლევითი ინსტიტუტის მკვლევრებს, რომლებიც ჩართულნი არიან მიმდინარე კვლევით პროექტებში. მკვლევრები უნივერსიტეტის კვლევით საბჭოს ყოველწლიურ წარუდგენენ ანგარიშს კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ. უნივერსიტეტში კვლევითი პოტენციალის გაზრდას ასევე ემსახურება ახალგაზრდა მკვლევრებისთვის დაწესებული ჯილდო - პასკალის პრემია, დარგში გაკეთებული განსაკუთრებული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის.

ახალგაზრდა მკვლევარებისათვის პასკალის პრემია ილიაუნში დაწესებულია 2014 წლიდან. ასეთი პრემიის ლაურიატები არიან პროგრამაში ჩართული ახალგაზრდა პერსონალი და თავად პროგრამის სტუდენტები, კერძოდ, ზემოთაღწერილი შემთხვევის გარდა (იხ. ამ კრიტერიუმის აღწერის მეორე ავზაცი), 2017 წელს - პროგრამაში ჩართული

ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი (2-ჯერ) ეკოლოგიის ინსტიტუტიდან; 2016 წელს - პროგრამაში ჩართული ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი (2-ჯერ) ზოოლოგიის ინსტიტუტიდან; 2020 წელს - პროგრამის სტუდენტი, რაც იმსახურებს განსაკუთრებულ აღნიშვნას.

უნივერსიტეტში 2017 წლიდან მოქმედებს სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესების რეგულირებას. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. ამავე საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოჰყოფს ინსტიტუციური განვითარების გრანტებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი პროექტებისთვის, რომელიც ემსახურება კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ხელშეწყობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა;
- განვითარების სამსახურის, საგარეო ურთიერთობების სამსახურისა და კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულებები;
- სერვისებით კმაყოფილების კვლევა;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი;
- საუნივერსიტეტო ბრძანებები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პასკალის პრემიის“ ლაურეატებისთვის ჯილდოს გადაცემის შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ახალგაზრდა მკვლევარებისათვის პასკალის პრემია ილიაუნში დაწესებულია 2014 წლიდან. ასეთი პრემიის ლაურეატები არიან პროგრამაში ჩართული ახალგაზრდა პერსონალი და თავად პროგრამის სტუდენტები, კერძოდ, ზემოთაღწერილი შემთხვევის გარდა (იხ. ამ კრიტერიუმის აღწერის მეორე ავზაცი), 2017 წელს - პროგრამაში ჩართული ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი (2-ჯერ) ეკოლოგიის ინსტიტუტიდან; 2016 წელს - პროგრამაში ჩართული ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი (2-ჯერ) ზოოლოგიის ინსტიტუტიდან; 2020 წელს - პროგრამის სტუდენტი, რაც იმსახურებს განსაკუთრებულ აღნიშვნას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებული კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალი, მათ შორის ახალგაზრდა ასისტენტ-მკვლევარები და დოქტორანტები, რომლებიც არიან ამავე პროგრამის კურსდამთავრებულები, დოქტორანტები და/ან სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები.

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსები რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს წარმოდგენილი ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებაში გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უნივერსიტეტის კუთვნილი კვლევითი ბაზების რესურსები. სტუდენტებს აქვთ სრული წვდომა ეკოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის ინსტიტუტების და თბილისის ზოოპარკის ლაბორატორიულ რესურსებთან, კოლექციებთან და მონაცემთა ბაზებთან. ქალაქგარეთ არსებულ ბაზებთან (ყაზბეგი, გრიგოლეთი, დედოფლისწყარო, ახალდაბა, კვლევითი გემი და სხვ.) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლების ლაბორატორიულ და საველე კომპონენტებს ლაბორატორიული ტექნიკით და რეაგენტებით. აგრეთვე ტრანსპორტირებით და ბაზებზე განთავსებით.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კვლევითი ინსტიტუტების შესაძლებლობები სრულად გამოიყენება სამაგისტრო ნაშრომების ფარგლებში ჩატარებული კვლევისათვის. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე, ენის ცოდნა ღრმავდება პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სპეცკურსის საშუალებით. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა ძირითად ლიტერატურად გამოყენებულ იქნას ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება-შეფასება
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი";
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: <http://library.iliauni.edu.ge/>;
- ელექტრონული სწავლების პორტალი: <http://moodle.iliauni.edu.ge/>, Turnitin
- გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფორმით და ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მისი ბიუჯეტი ფარავს საოპერაციო ხარჯებს პროგრამის განვითარებისათვის, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებს, პერსონალის ხარჯებს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა რელევანტურ ხარჯებს.</p> <p>პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით მის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს პროგრამის ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილია 20 სტუდენტზე. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პირველ რიგში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაახლებას, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას, ინტელექტუალური რესურსების მოზიდვას, აკადემიური პერსონალის განვითარებას.</p> <p>პროგრამაში გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის და ლაბორატორიული სამუშაოების უზრუნველყოფა ხდება სასწავლო ლაბორატორიებით, აგრეთვე ეკოლოგიის, ზოოლოგიის და ბოტანიკის ინსტიტუტების ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით. კვლევით ინსტიტუტებს აქვთ ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში ხდება საჭირო ხარჯების გაწევა.</p> <p>პროგრამაში ჩართული პროფესორები და მკვლევრები მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გაცემულ გრანტებში, რომლის ბიუჯეტიდან ხდება აგრეთვე კვლევისათვის საჭირო რესურსის შექმნა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • პროგრამის ბიუჯეტი; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა 2019-2024; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მართვაში მონაწილეობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც წარმოდგენილია სამსახურის ხელმძღვანელითა და ხარისხის განვითარების სპეციალისტებით. ხარისხის განვითარების სპეციალისტები ემსახურებიან გარკვეულ საფაკულტეტო მიმართულებებს, რაც უზრუნველყოფს მჭიდრო და მყისიერ კავშირს პროგრამაში ჩართულ პერსონალთან. ასეთი მიდგომების შედეგად პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მონაწილეობს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

პროგრამის განახლების პროცესში ჩატარებულია მოცულობითი სამუშაოები პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და განსაზღვრის, მიღწევის შეფასებისა და მონიტორინგისათვის, ამ პროცესში რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების გათვალისწინებისათვის.

წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილი აღწერები და შეფასებები ადასტურებს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ნაყოფიერ და აქტიურ თანამშრომლობას პროგრამის შემუშავება-განახლების პროცესში, ასევე განახლებული პროგრამის ფუნქციონირების შემდგომ მიმართებებს, რაც დაკავშირებულია თითოეული სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებისა და ცალკეული ინდიკატორების მიხედვით შეფასებასთან და ამ შეფასების შედეგების შემდგომ გამოყენებასთან. ამ პროცესებში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

მისასაღმებელია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად, იდენტიფიცირებული აქვს სამიზნე ნიშნულების მიხედვით პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისა და მონიტორინგის სამუშაოების მნიშვნელობა და ამ პროცესში გამოყენებული მიდგომების პრაქტიკაში დანერგვის გამოწვევები.

შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, რაც ნათლადაა წარმოდგენილი როგორც თვითშეფასების აღწერილობით ნაწილში, ასევე გასაუმჯობესებელ მხარეებში და დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- კვლევის ინსტრუმენტები

<ul style="list-style-type: none"> • საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა 2019-2024
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების გარე მექანიზმებად იყენებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებს, რომელსაც ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მიზნით, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში, გათვალისწინებული იყო როგორც დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების უკუკავშირი, ასევე 2011 წელს აკრედიტაციის პროცესის შედეგად მიღებული რეკომენდაციები.</p> <p>2019 წლიდან პროგრამის ჯგუფმა დაიწყო ე.წ. რე-აკრედიტაციის მოსამზადებელი სამუშაოები, მოხდა პროგრამის მოდერნიზება და თვითშეფასების ფორმირება. პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული იყვნენ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.</p> <p>წარმოდგენილი პროგრამისათვის გამოყენებულია გარე შეფასება დარგის უცხოელი პროფესორებისა და მკვლევარების (გერმანია, თურქეთი) მონაწილეობით. მათი შეფასებები და რჩევები გაზიარებულია პროგრამის მიერ.</p> <p>მოცემული პროცესი და აკრედიტაციაზე პროგრამის ხელახალი წარდგენა ადასტურებს დაწესებულების მიმართებას - რეგულარულად გამოიყენოს გარე ხარისხის შეფასება და მისი შედეგები პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სააკრედიტაციო განაცხადი, • წარმოდგენილი პროგრამის პაკეტი • აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვითშეფასება • უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შეფასებისათვის დაწესებულება მოქმედებს შიდა ხარისხის კონცეფციის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე აქტორების მონაწილეობა შეფასების, მათ შორის პროგრამების შეფასების პროცესებში. კონცეფცია ეყრდნობა ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, ამასთან პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები ხორციელდება თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით და ეფუძნება ხარისხის მართვაში გამოყენებულ თანამედროვე სტანდარტებს. შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამის (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა პერიოდული მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევის დოკუმენტები და ანგარიშები. ერთ-ერთია სამაგისტრო ნაშრომების კვლევა 2018, რომელიც არის კომპლექსური კვლევა ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით. სასურველია ასეთი კვლევების ბოლოს წარმოდგენილი იყოს ზოგადი რეკომენდაციები, ასევე კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- კვლევის ინსტრუმენტები და ჩატარებული კვლევების ანგარიშები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ გამოკითხვების საფუძველზე ჩატარებულ კვლევებში წარმოდგენილი იყოს ზოგადი რეკომენდაციები, ასევე კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით, რომელიც შესაძლებელია შედგეს ცალკე დოკუმენტად. ამით მიაღწევთ პროგრამის მენეჯმენტის უფრო სრულ ინფორმირებას კვლევებით გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

დანართი 1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი პროექტების ნუსხა, სადაც ნაჩვენებია სტუდენტთა ჩართულობის მაგალითები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ეკოლოგია, სამაგისტრო

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ციცინო თურქაძე

სახელი, გვარი,




ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ინგა დიასამიძე

სახელი, გვარი,



ხელმოწერა

ნინო ლომთათიძე

სახელი, გვარი,



ხელმოწერა

მარიამ ლობჯანიძე



დანართი 1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი პროექტების ნუსხა, სადაც ნაჩვენებია სტუდენტთა ჩართულობის მაგალითები.

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკოლოგიის მიმართულების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები

ქვემოთ ცხრილში ჩამოთვლილია რამოდენიმე მიმდინარე პროექტი (მრავალი პროექტი დასრულდა 2019-2020-ში, იმ პროექტების ფარგლებში შესრულდა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები). ეს ჩამონათვალი არასრულია. გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტებისა, სტუდენტები ასევე ჩართულნი არიან პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის, ასევე ზოოლოგიისა და ბოტანიკის ინსტიტუტების ბიუჯეტის დაფინანსებით. აქვე ჩამოვთვლი რამოდენიმე უცხოურ ინსტიტუტს, რომელთანაც მიდის თანამშრომლობა წლების განმავლობაში, დამოუკიდებლად იმისა არსებობს თუ არა ფორმალური შეთანხმება. ესაა ბონის ზოოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი და ბიომრავალფეროვნების ცენტრი, გეტინგენის უნივერსიტეტი, კობლენცის უნივერსიტეტი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი (გერმანია); აიდაჰოს უნივერსიტეტი; მისურის ბოტანიკური ბაღი (აშშ); ტუმას უნივერსიტეტი (იტალია); ვარშავის ზოოლოგიის ინსტიტუტი (პოლონეთი); სტამბოლის, ზონგულდაკის, რიზეს და ჰაჯეტეპეს (ანკარა) უნივერსიტეტები (თურქეთი); ერევნის უნივერსიტეტი (სომხეთი); გენტის უნივერსიტეტი (ბელგია).

#	პროექტის სათაური	დამფინანსებელი	ხელმძღვანელი	სტუდენტები	პარტნიორი ინსტიტუტები	დასრულება
1	ერთიანი კავკასიური ბიომრავალფეროვნების კვლევის პლატფორმის შექმნის ქართულ-სომხურ-გერმანული ინიციატივა (CaBOL), reg. # 2006 ვებსაიტი https://ggbc.eu/contact/	BMBF (გერმანიის მთავრობა)	[REDACTED]	<p><i>ბაკალავრები</i></p> <ol style="list-style-type: none"> 1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. <p><i>მაგისტრანტები</i></p> <ol style="list-style-type: none"> 1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 	<ol style="list-style-type: none"> 1. ზოოლოგიის კვლევითი მუზეუმი კონიგი (ბონი) 2. კობლენცის უნივერსიტეტი 3. გეტინგენის უნივერსიტეტი 4. აგრარული უნივერსიტეტი (თბილისი) 5. ზოოლოგიის ინსტიტუტი (ერევანი) 6. ერევნის სახ. უნივერსიტეტი 	2023 (მე-2 ფაზა)

				9. 10. 11. 12. გ დოქტორანტი		
2	„შავი ზღვის ვემპისნაირების აკუსტიკური კვლევა“ დაიწყო 2020 წლის დეკემბერში	ბრიტანული კომპანია Chelonia Limited www.chelonia.co.uk/ და ისუ		1. (ბაკალავრი) 2. მაგისტრანტი (დასადგენია) 3. დოქტორანტი	Chelonia Limited კომპანია; სტამბოლის უნივერსიტეტი, ორგანიზაცია „Mare Nostrum“, რუმინეთი; ორგანიზაცია “Green Balkan“; კიევის ზოოლოგიის ინსტიტუტი	განუსაზღვრელი
3	"გენომური ტექნოლოგიების განვითარება კავკასიის რეგიონში" (სარეგისტრაციო ნომერი 2169)	ფოლქსვაგენის ფონდი		(ბაკალავრი) (მაგისტრანტი) იგეგმება კიდეც 2 ბაკალავრის შერჩევა	ზოოლოგიის კვლევითი მუზეუმი კოენიგი (ბონი)	2022
4	Developing and testing a socio-ecological monitoring system for protecting large mammals in the southern Caucasus	გერმანიის მთავრობა		დოქტორანტი ; იგეგმება მაგისტრანტის აყვანა	Humboldt-University Berlin, Germany (HUB) Yerevan State University, Armenia (YSU) National Academy of Science Azerbaijan WWF Germany WWF Caucasus Programme Office (WWF CauPO)	2024
5	„საქართველოს არიდული ჰაბიტატების კრიპტოგამები: მრავალფეროვნება, კონსერვაცია, პოტენციური გაუდაბნოების მონიტორინგისათვის“ (2019-2022).	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის NFR-18-14169 გრანტი		(ბაკალავრი) (დოქტორანტი)		2022

6	სალმონიდები სამხრეთ კავკასიაში: კონსერვაციული სტატუსი, ტაქსონომია და გამოყენება თევზაობის მენეჯმენტში	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		(მაგისტრანტი) (დოქტორანტი) დაგეგმილია 2 მაგისტრანტის აყვანა	აიდაპოს უნივერსიტეტი, აშშ	2022
7	ძაღლისებრთა შორის მიმდინარე ჰიბრიდიზაცია	ზოოლოგიის ინსტიტუტი, ვარშავა, პოლონეთი		(დოქტორანტი)	ზოოლოგიის ინსტიტუტი, ვარშავა, პოლონეთი	2021
8	ლემან-ჰაუპტის სადოქტორო სკოლა	ფოლქსვაგენი ს ფონდი		(დოქტორანტი)	გეტინგენის უნივერსიტეტი	
9	გარიელის კვლევა და კონსერვაცია საქართველოში	Conservation Leadership Programme (CLP)		(დოქტორანტი) მაგისტრანტები:	-	2022
10	ზოონოზური ინფექციების ატლასის მომზადება სამხრეთ კავკასიაში	HDTRA 1-19-1-0044		1 დოქტორანტი 2021-დან	-	2022
11	სათაფლია-წყალტუბოს მღვიმეების უხერხემლო ცხოველთა კონსერვაცია	Conservation Leadership Programme ("CLP")		2 მაგისტრანტი	-	2022
12	წვრილი ძუძუმწოვრების დნმ-ბარკოდინგის მონაცემთა ბაზა და ფაუნის შემადგელობის დაზუსტება	შოთა რუსთაველის ფონდი FR -19 - 2295		მაგისტრანტი	-	2022
13	ფაუნის მრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობა, სტატუსი და კონსერვაციის პრობლემები	სახელმწიფო სუფსიდიის მიზნობრივი გრანტი		8 მაგისტრანტი, 4 დოქტორანტი	-	2023
14	საქართველოს წითელი ნუსხისთვის მონაცემთა ბაზის მომზადება	GIZ		ჩართულია CaBOL პროექტში ჩართული სტუდენტები	GBIF, IUCN	2021